განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შეფასების თარიღ(ებ)ი
24.06-25.06 2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია
უმაღლესი განათლების საფეხური	**ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა** (მოიცავს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების მიღწევას)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ვეტერინარიის მაგისტრი Master of Veterinary Medicine (MVM)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0841 ვეტერინარია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	მე-7 დონე

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	308
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მელაშვილი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინე რამიშვილი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი/ლუგარის კვლევითი ცენტრი. თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მღვდელაძე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ეხება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ 308 კრედიტიან პროგრამას ვეტერინარიაში. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის საჭირო კურსებს. პროგრამა შემუშავებულია სსიპ შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტის თვითშეფასების გუნდის მიერ, რომელშიც შედის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი. პროგრამის შედგენაში მონაწილე გუნდმა გამოიყენა არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება.

პროგრამაზე მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პროგრამაში ჩართულია სულ 43 პერსონალი, მათგან 21 არის აკადემიური პერსონალი (5 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი) და 21 მოწვეული პერსონალი. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 18-ს, მათგან 3 პროფესორია, 12 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი.

სწავლება 10 სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობს. პროგრამაში აგრეთვე გათვალისწინებულია დარგობრივი (საწარმოო და კლინიკური) პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.

სასწავლო პროგრამის კრედიტების განაწილება:

- **თავისუფალი სავალდებულო და საბაზისო განათლება, თავისუფალი არჩევითი სასწავლო კომპონენტით – 77 კრედიტი, ანუ საერთო კრედიტების 25%**
- **ვეტერინარიის სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - 231 კრედიტი, ანუ საერთო კრედიტების 75%.**

სულ 308 კრედიტი.

თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტის მოსწრების შეფასება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია რეგიონისა და დარგის განვითარებისთვის, მხარდაჭერილია როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე დამსაქმებლების მიერ. თუმცა, პროგრამის მიზნების მიღწევისთვის, ასევე პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ სწავლის შედეგების მიღწევისთვის, მნიშვნელოვანია გაძლიერდეს პროგრამის მიზნებისთვის არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგად, ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალში, ადგილობრივი პერსონალის ნაკლებობა, და ასევე, პერსონალის არსებული დატვირთვა. აღნიშნულმა, მიუხედავად პერსონალის დიდი მოტივაციისა და კვალიფიკაციისა, შესაძლებელია პრობლემა შეუქმნას პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას, ასევე, მის განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, დაგეგმილია 30 სტუდენტის მიღება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შერჩეული ექსპერტთა ჯგუფის მიერ უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 24-25 ივნისს. ჯგუფის წინამოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 21 ივნისს, მოხდა პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება.

აკრედიტაციის ექსპერტთა გუნდი ვიზიტის ფარგლებში შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას (რექტორს,ადმინისტრაციის ხელმძღვანელს; ფაკულტეტის დეკანს). თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს. ასევე, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
ვიზიტი მიმდინარეობდა დაგეგმილი დღის წესრიგის შესაბამისად, თანამშრომლობით გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია საკმაოდ მოტივირებულია პროგრამის განვითარების ხელშეწყობაში, საფუძვლიანად ერკვევა პროგრამის შინაარსში, სტრუქტურასა და მნიშვნელობაში, ასევე ვეტერინარიის დარგის განვითარების მნიშვნელობაში რეგიონისთვის. პროგრამის აკადემიური პერსონალი დიდი პედაგოგიური გამოცდილების კადრია. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს და პროგრამის ხელმძღვანელებს პროგრამის განვითარებისთვის გაუზიარა რჩევები და გააცნო ძირითადი მიგნებები.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია;
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (2022 წლის 26 აგვისტო, წერილი N952423), რომელშიც არ ეთანხმება დასკვნის პროექტში წარმოდგენილ შეფასებებს და ითხოვს სტანდარტის კომპონენტების შეფასების ცვლილებას და თითოეული სტანდარტის შეფასებას როგორც „სრულ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა აკრედიტაციის სტანდარტის კომპონენტების შეფასება დატოვა უცვლელი. დასკვნაში მოცემულია თითოეული რეკომენდაციის განსაზღვრის არგუმენტაცია და ექსპერტთა მსჯელობა, მიუხედავად აღნიშნულისა, დამატებით წარმოგიდგენთ განმარტებებსა და არგუმენტაციას, თუ რატომ არ შეიცვალა ექსპერტთა პოზიცია დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის გაცნობის შემდეგ გარკვეულ რეკომენდაციებთან მიმართებით:

სტანდარტი 1.2 (რეკომენდაცია #2): მიუხედავად დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში მოცემული არგუმენტისა სტანდარტის კომპონენტი 1.2-ის შეფასების მიმართ არსებული პირობის/კითხვის აღწერისა, რომელიც ცნობილია ექსპერტებისთვის, სასურველია დაზუსტდეს, რომ დაწესებულებას არგუმენტად მოჰყავს 1.2 სტანდარტის კომპონენტის აღწერილობითი ნაწილი. რაც შეეხება სტანდარტის კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებს, რის მიხედვითაც ფასდება საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა, შეფასების კრიტერიუმებში ნათლად ვკითხულობთ: პროგრამის სწავლის შედეგები **„არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური“**. პროგრამის სწავლის შედეგები, როგორც აღნიშნულია დასკვნაში, ფორმულირებულია დარგობრივი მახასიათებლის თუ აკრედიტაციის სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნის შესაბამისად, ისევე როგორც

პროგრამის სტრუქტურა. თუმცა, ექსპერტთა ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ფორმალური შესაბამისობის მიღმა, შეფასდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა და რეალისტურობა, **შეფასების მომენტისთვის** არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. შეფასების პროცესში გამოკვეთილი გამოწვევების ფონზე, რაც დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში, ლეგიტიმურია კითხვა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობასა და რეალისტურობასთან მიმართებით, შესაბამისად დაწესებულების მითითება სტანდარტის შეფასების ცდომილების შესახებ არის უსაფუძვლო.

ექსპერტთა მხრიდან არ იქნა გაზიარებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია 2.3 კომპონენტთან მიმართებით. (რეკომენდაცია #3) მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია საგნებში გადაფარვის არსებობა ისეთ მარტივ მეთოდთან მიმართებაში, როგორიც მიკროსკოპთან მუშაობაა. ეს პროცესი არ მოითხოვს განსაკუთრებულ ცოდნას და უნარებს, მითუმეტეს, თუ სტუდენტს უკვე აქვს ნასწავლი კომპლექსურ ბიოლოგიურ მიკროსკოპზე მუშაობა, სადაც მოძრავი მაგიდა, მიკრო და მაკროხრახნი უნდა მართოს, გაუგებარია, რატომ სჭირდება დამატებით ისწავლოს სტერეო მიკროსკოპის გამოყენება, რაც პრინციპში ლუპაა და მხოლოდ ერთ ხრახნით იმართება.

ექსპერთა მხრიდან ასევე არ იქნა გაზიარებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია **2.5 კომპონენტთან მიმართებით (რეკომენდაცია #5)** - შეფასების მომენტისთვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ადგილზე არ მოიპოვებოდა სათანადო რაოდენობის და თვისებების მქონე ინვენტარი, ამავე დროს, მემორანდუმით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საწარმოო ბაზების გამოყენება სრული მასშტაბით სასწავლო მიზნებისთვის ვერ იქნება შესაძლებელი, რადგან ერთბაშად ბევრი სტუდენტის თავმოყრამ ამ დაწესებულებებში შეიძლება უბრალოდ მათი პარალიზება გამოიწვიოს, რადგან ისინი არ არიან თავისი სტრუქტურით გათვლილი დიდი რაოდენობით სტუდენტების მიღებაზე.

რაც შეეხება რეკომენდაციას **2.6 სტანდარტთან** მიმართებით, ექსპერტთა პოზიცია კლინიკურ საგნებში პრაქტიკული გამოცდების დანერგვის შესახებ მყარია, ვინაიდან კლინიკური საგნებიდან მხოლოდ ერთში არის წარმოდგენილი პრაქტიკული გამოცდა, რაც დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებულ პოზიციაში.

4.1 ადამიანური რესურსი, ექსპერტთა რეკომენდაცია #6. პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად წარმოგვეჩინა პროგრამის როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები, რაც რეალურად გამოიკვეთა მათი პირადი საქმეების გაცნობის, უნივერსიტეტში ვიზიტის და პერსონალთან გასაუბრების შედეგად. მაქსიმალურად შევეცადეთ არ გამოგვრჩენოდა არცერთი დადებითი მხარე/დეტალი, რომ საბჭოს წევრებს სწორი და რეალური წარმოდგენა შეჰქმნოდათ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დონეზე და

შესაძლებლობებზე, თუმცა ჩვენი მოვალეობა იყო დასკვნაში ასევე აღგვენიშნა ის გამოწვევები, რაც ჩვენი აზრით გადამწყვეტი ფაქტორია პროგრამის მდგრადობის და განხორციელებისთვის (პერსონალის დატვირთვა და მანძილი, რაც ფიზიკურად შეუძლებელია შესრულდეს ასეთი დატვირთვის პირობებში) და აუცილებლად აღსანიშნავი და გასათვალისწინებელია. ამრიგად, ჩვენ არ ვეთანხმებით უნივერსიტეტის მოსაზრებას, რომ 4.1 ქვესტანდარტის შეფასება „ნაწილობრივ შესაბამისობა" აცდენილია რეალობას. ასევე, ვინაიდან დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ რეკომენდაცია პერსონალის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში დატვირთვის შეფასების შესახებ არის ექსპერტთა პირადი მოსაზრება, არ უკავშირდება აკრედიტაციის სტანდარტებს და არის შეცდომა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 4.1 სტანდარტის კომპონენტის შეფასება მოითხოვს შეფასდეს პერსონალის დატვირთვა ყველა უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული, აღნიშნული მკაფიოდ არის გაწერილი სტანდარტის შეფასების კრიტერიუმებში.

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება (რეკომენდაცია #7). ანალოგიურად არ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ 4.2 ქვესტანდარტი შეფასდეს როგორც „სრული შესაბამისობა" ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობისა". დასკვნა დაწერილია სწორედ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. 2.6 ქვესტანდარტში სტუდენტების შეფასება გაცემულია შემდეგი სახის რეკომენდაცია: „რეკომენდებულია პრაქტიკული გამოცდების დანერგვა კლინიკურ საგნებში". სადაც აღვნიშნავთ, რომ სტუდენტების ცოდნის დადგენა ხდება ყველა საგანში, თუმცა, პროგრამის მიზნებისა და სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის მიზნით, რეკომენდებულია, კლინიკურ საგნებში დაინერგოს პრაქტიკული გამოცდები (მაგ., ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა - OSCE, ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა - OSPE). დასკვნაში მაქსიმალურად ობიექტურად აღვწერეთ თუ უსდ როგორ ახორციელებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის შეფასებას და რა მხარდამჭერი მეთოდებით უწყობს ხელს მათ პროფესიულ განვითარებას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ სილაბუსების გაცნობის და ინტერვიუების შედეგად, გამოიკვეთა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის პერსონალის ტრენინგების განხორციელების საჭიროება სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისთვის ამგვარი სახის ტრენინგები არ ჩატარებულა.

ექსპერთა მხრიდან არ იქნა გაზიარებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია 4.3 კომპონენტთან მიმართებით. (რეკომენდაცია #9). ვიზიტის დროს არსებული ინვენტარი ვერ ჩაითვლება საკმარისად სილაბუსებში მითითებული სამუშაოების შესასრულებლად, მიკროსკოპებს არ აქვთ სათანადო ოპტიკა, არ არის სტერეო მიკროსკოპები, მულაჟები სინამდვილეში არის ცხოველის არაზუსტი სადემონსტრაციო მოდელები, რითაც შეუძლებელია ანატომიის სწავლება.

4.4 **პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა.**

როგორც დასკვნაში მოგახსენეთ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის და სხვა დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად

ნათლად ჩანს, რომ უნივერსიტეტი წარმოადგენს ფინანსურად სტაბილურ ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება. თუმცა, როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა უნივერსიტეტი მეტწილად დამოკიდებულია სახელმწიფო და პარტნიორი ორგანიზაციებიდან მიღებულ დაფინანსებებზე. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბიუჯეტში არ არის ნაჩვენები კონკრეტულად ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოსაწყობად ან პროგრამის პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და ა.შ. რა თანხები იქნებოდა გამოყოფილი. სასურველი იქნებოდა უფრო მეტი სიცხადისთვის და გამჭვირვალობისთვის უფრო დეტალურად გაწერილიყო რა თანხები იქნებოდა გამოყოფილი ვეტერინარიის სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად.

ექსპერტთა მხრიდან ასევე არ იქნა გაზიარებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია **5.1. სტანდარტის კომპონენტთან** მიმართებით (**რეკომენდაცია N12**), დასკვნაში დეტალურად არის არგუმენტირებული და აღწერილი, თუ რამ გამოიწვია რეკომენდაციის გაცემა და სტანდარტის კომპონენტის „მეტწილი შესაბამისობით“ შეფასება, თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ერთის მხრივ, პროგრამის შემუშავების ჯგუფი იყო ვიწრო და არა წარმომადგენლობითი, მასში შედიოდა მხოლოდ რამდენიმე აკადემიური პერსონალი, მეორეს მხრივ, კი გამოიკვეთა აკადემიური პერსონალის ჩართულობის ნაკლებობა, რომელთა ცოდნა პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ ხშირ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარი სილაბუსის ცოდნით შემოიფარგლებოდა. რაც შეეხება დამსაქმებელთა ჩართულობას, დასკვნაში აღნიშნულია დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, რაც დაწესებულებას მოჰყავს პროგრამის შემუშავების ფართო ჩართულობის დადასტურების არგუმენტად.

რაც შეეხება **სტანდარტის კომპონენტ 5.3** -ს (**რეკომენდაცია N13**), დაწესებულება აღნიშნავს, რომ პერიოდულად ხდება ვებ-გვერდის განახლება, როდესაც, როგორც აღინიშნა დასკვნაში, ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მასალები არ განახლებულა სულ მცირე ორი წელი. ამასთან, დასკვნაში საუბარია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლის გაძლიერებაზე პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაზე, თუმცა დამატებითი რეკომენდაცია არ გაცემულა, ვინაიდან რეკომენდაციის დუბლირება არ მომხდარიყო სხვა სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1. - შეფასებულია, როგორც “**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**”

სტანდარტი 2. - შეფასებულია, როგორც “**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**”

სტანდარტი 3. - შეფასებულია, როგორც "**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**"

სტანდარტი 4. - შეფასებულია, როგორც "**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**"

სტანდარტი 5. - შეფასებულია, როგორც "**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**"

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ფორმულირდეს ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული გადაფარვები, კერძოდ: გადაიხედოს მესამე და მეოთხე მიზნის შინაარსი, შინაარსობრივი გადაფარვის თავიდან აცილებისთვის, შესაძლებელია მიზნების გაერთიანება; მეშვიდე მიზნის კონტექსტი შეიძლება ჩადებულიყო შემდეგ ფორმულირებაში: „იცოდეს ცხოველთა ოპტიმალური მოვლა-შენახვის და სრულფასოვანი კვების თავისებურებები".
2. უზრუნველყავით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა პროგრამის მიზნებისთვის საჭირო რესურსით, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებით.
3. დაკორექტირდეს სილაბუსები, აღმოიფხვრას გადაფარვები ცხოველთა ბიოლოგიის და მცენარეთა ბიოლოგიის საგანში, მცენარეთა ბიოლოგიის საგანში შემავალი თემები შეესაბამებოდეს საგნის შინაარსს.
3. პრაქტიკული მეცადინეობები გახდეს უფრო შესაბამისი ადგილზე არსებულ სიტუაციასთან, არ დაუშვათ სტუდენტების კონტაქტი განსაკუთრებით საშიშ პათოგენებთან.

4. სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები გახდეს არსებულ მატერიალურ ბაზასთან შესაბამისი.

5. რეკომენდებულია პრაქტიკული გამოცდების დანერგვა კლინიკურ საგნებში.

6. უნივერსიტეტმა ინდივიდუალური დატვირთვის გაანგარიშებისას გაითვალისწინოს პერსონალის დატვირთვა სხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო (საგანმანათლებლო და არასაგანმანათლებლო) დაწესებულებებში, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის განხორციელება და მდგრადობა.

7. რადგან პროგრამა ახალია, სამომავლოდ რეკომენდებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის პროფესიული განვითარების აქტივობების, ტრენინგების შეთავაზება, რაც მიმართული იქნება სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გაცნობაზე, რაც დადებითად აისახება სწავლა-სწავლების და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხზე.

8. პროგრამა აუცილებლად საჭიროებს ლაბორატორიების და კლინიკური საგნების სპეციალური ოთახების მოწყობას და აღჭურვას ადგილზე შესაბამისი აპარატურით, ინსტრუმენტებით, პრეპარატებით და სხვადასხვა საჭირო მასალით (მიკრობიოლოგიის, ჰისტოლოგიის, პათანატომიის, ქირურგიული სამანიპულატორო ოთახი, მულაჟები, სიმულატორები, ანატომიის ატლასები, შინაური და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ჩონჩხები, ცხოველების შინაგანი ორგანოების სველი პრეპარატები, სტანდარტული პათანატომიური და ჰისტოლოგიური მიკროსკოპული პრეპარატები, ქირურგიული და

გინეკოლოგიური ინსტრუმენტები, ხელოვნური კანის მულიაჟები, იარაღების სასტერილიზაციო და სხვ.).

9. მოხდეს ყველა საჭირო აპარატურის შესყიდვა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მოწყობამდე არ გამოცხადდეს სტუდენტების მიღება.

10. სამეცნიერო კვლევების განხორციელების მიზნით საჭიროა ვივარიუმის მოწყობა შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით.

11. უნივერსიტეტის მიერ სამომავლოდ გაიზარდოს სხვადასხვა საგრანტო პროგრამებში მონაწილეობა, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სტაბილური ფინანსური მდგრადობა.

12. მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობა - ერთის მხრივ, ჩართული დაინტერესებული მხარეების გაფართოება, მეორეს მხრივ, კი ჩართული პირების პროცესში სრულფასოვანი და აქტიური მონაწილეობა.

13. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის მიზნით, რეკომენდებულია განახლდეს სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფანჯარაში განთავსებული ინფორმაცია, მასალები და კვლევები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია პროგრამის სილაბუსებში ზუსტად იყოს გაწერილი საკონსულტაციო საათები, რათა უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ.

2. უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს ახალგაზრდა პედაგოგების აღზრდაზე და მოზიდვაზე;

3. სასწავლო პროცესში ჩაერთოს უფრო მეტი პრაქტიკოსი ვეტექიმი და მეცნიერი.

4. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ვეტერინარული პროგრამების განმახორციელებელ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სასწავლებლებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, რადგან ვეტერინარულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა სუსტადაა წარმოდგენილი.

5. სასურველია, განხორციელებული გარე კოლეგიური შეფასებები (ადგილობრივი თუ საერთაშორისო კოლეგის მიერ განხორციელებული) ფოკუსირებული იყოს მეტად საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაზე, პროგრამის შეფასებაზე, ვიდრე პროგრამის მახასიათებლების აღწერაზე. აღნიშნულის უზრუნველყოფა გარე კოლეგიური შეფასების დროს შემფასებელთან პროცესთან დაკავშირებული მოლოდინების, შეფასების მიზნის მკაფიო კომუნიკაციით იქნება შესაძლებელი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს „ვეტერინარიის" უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N09, 03.01.2018 წ.; შემდგომში - ვეტერინარიის დარგობრივი მახასიათებელი) მოთხოვნებს. პროგრამა ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა, რაც შეესაბამება ვეტერინარიის დარგობრივ სტანდარტს. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ითვალისწინებს და პასუხობს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტმა განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა, ასევე გაანალიზა არსებული კვლევები ვეტერინარიის პროფესიასა და დარგთან მიმართებით. როგორც არსებული კვლევებით, ასევე დამსაქმებლებთან ინტერვიუთი იკვეთება ვეტერინარის პროფესიის მქონე კადრებზე არსებული მოთხოვნა. ამასთან, როგორც დაწესებულება, ასევე დამსაქმებლები ხაზს უსვამენ საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობას რეგიონისთვის. ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე იშვიათ პროგრამას საქართველოში, ხოლო რეგიონში ის ამჟამად არ ხორციელდება. დაწესებულებას მიაჩნია, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელებით, ის წვლილს შეიტანს როგორც დარგის, ასევე რეგიონის განვითარებაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე შეესაბამება დაწესებულების მისიას, რადგან ის წარმოადგენს

რეგიონულ უნივერსიტეტს და ემსახურება რეგიონის განვითარებას, რეგიონის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები განსაზღვრავს საჭირო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რაც უნდა გააჩნდეს ვეტერინარიის მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე პირს. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევისთვის კი აუცილებელი წინაპირობაა დასკვნაში გამოკვეთილი საკითხების გადაჭრა, რაც დეტალურადაა აღწერილი სტანდარტების კომპონენტების აღწერასა და შეფასებაში. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები საჭიროებს მცირე ცვლილებებს. კერძოდ, მე-3 და მე-4 მიზანი გარკვეულ შინაარსობრივ გადაფარვაშია ერთმანეთთან - მოსახლეობის დაცვა ცხოველისა და ადამიანის საერთო (ზოონოზური) დაავადებებისაგან თავის თავში გულისხმობს ერთიანი ჯანდაცვის სისტემას და შესაბამისად, ცხოველის დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომ შემოწმებას. ასევე, მე-7 მიზანი პირდაპირ და გამოკვეთილად ნაკლებად წარმოადგენს პროგრამის კურსდამთავრებულის პრეროგატივას, შესაძლებელია კურსდამთავრებულმა აირჩიოს კომპანიონი ან ეგზოტიკური ცხოველების მკურნალობაში ვიწროდ დასპეციალება, შესაბამისად მეშვიდე მიზანი არარელევნტური იქნება. ამ მიზნის კონტექსტი შეიძლება ჩადებულიყო შემდეგ ფორმულირებაში: „იცოდეს ცხოველთა ოპტიმალური მოვლა-შენახვის და სრულფასოვანი კვების თავისებურებები“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე პროგრამის დანართი #1; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, დამსაქმებლებთან; ○ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ შრომის ბაზრის კვლევა.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ფორმულირდეს ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული გადაფარვები, კერძოდ: გადაიხედოს მესამე და მეოთხე მიზნის შინაარსი, შინაარსობრივი გადაფარვის თავიდან აცილებისთვის,

შესაძლებელია მიზნების გაერთიანება; მეშვიდე მიზნის კონტექსტი შეიძლება ჩადებულიყო შემდეგ ფორმულირებაში: „იცოდეს ცხოველთა ოპტიმალური მოვლა-შენახვის და სრულფასოვანი კვების თავისებურებები“.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის და მისი კომპონენტების სწავლის შედეგები შეესაბამება და ეყრდნობა „ვეტერინარიის“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ ცოდნასა და კომპეტენციებს. საგანმანათლებლო პროგრამის

სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ფორმულირებული, რაც იძლევა მათი დაკვირვების, სრულყოფილი შეფასების და გაზომვის საშუალებას. პროგრამის სწავლის შედეგები გადმოღებულია „ვეტერინარიის“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლიდან, რომელშიც დარგის საერთო ჩარჩოებია მოცემული, რაც სტანდარტის შესაბამისია, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი სტუდენტებში პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული კომპეტენციების გამომუშავებაა, რაც მხარდაჭერილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებით. თუმცა, პროგრამის შეფასებისას გამოკვეთილი გამოწვევების ფონზე, კერძოდ, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირისა თუ პედაგოგების დროის განაწილებისა (დეტალურად საკითხი განხილულია მეოთხე სტანდარტის აღწერისა და შეფასებისას), სათუა, თუ რამდენად მოხდება სრულყოფილად დაგეგმილი პროგრამის განხორციელება და სტუდენტების მიერ შესაბამისი უნარების გამომუშავება. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები, შეფასების მომენტისთვის არსებული მდგომარეობით არ არის სრულად მიღწევადი.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება ერთმანეთს. მიზნებისა და შედეგების ურთიერთკავშირის ანალიზისთვის შემუშავებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.

პროგრამის განვითარების პროცესში აუცილებელია, რომ პროგრამის კომპონენტებისა და პროგრამის შედეგები სწორად იყოს შედგენილი, ისე, რომ კურიკულუმის რუქა გახდეს პროგრამის კომპონენტების შინაარსის მართვის საშუალება, შედეგებსა და შეფასებას შორის გამჭვირვალე ურთიერთკავშირით. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამისთვის შემუშავებულია კურიკულუმის რუკა, რომელიც განსაზღვრავს, თუ პროგრამის რომელი სავალდებულო კომპონენტების მეშვეობით მიიღწევა პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგები. კურიკულუმის რუკაში ასევე განსაზღვრულია, თუ რა დონეზე უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას პროგრამის კომპონენტები.

პროგრამის სწავლის შედეგების მიზნისთვის შედგენილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც მოცულობითი, 18 გვერდიანი დოკუმენტია. მასში აღწერილია, თუ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება

პროგრამის რომელ კომპონენტში, შეფასების რა მეთოდით მოხდება. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირ მეთოდებს, შეფასების პერიოდს, შეფასების ინდიკატორებს. განსაზვრულია სამიზნე ნიშნულები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, წარმოდგენილი მეთოდოლოგიითა და გეგმით, განხორციელდება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვეტერინარიის ინტეგრირებული მაგისტრის საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ თანდართული დოკუმენტაცია; ○ ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის სამსახურთან; ○ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ○ პროგრამის კურიკულუმის რუკა; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.
რეკომენდაციები: უზრუნველყავით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა პროგრამის მიზნებისთვის საჭირო რესურსით, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან

გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები: 1) ქართულ ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ინგლისური ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა). აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. 2) მათემატიკა ან/და ისტორია, ბიოლოგია, ქიმია. აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. თითოეული საგნისათვის (მათემატიკა/ისტორია/ბიოლოგია/ქიმია) განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე. ამრიგად, პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამის წინაპირობები არის საჯარო და გამჭვირვალე, წარმოდგენილია პროგრამის აღწერილობით ნაწილში, შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მოქმედ კანონმდებლობას. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვის შემდგომ, სტუდენტი აბარებს უცხოური ენის (ინგლისური) გამოცდას, მისი ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და ხარისხის სამსახურთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის, ვეტერინარიის დარგობრივი ჩარჩოს მახასიათებლის და კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსების თანამიმდევრობა ლოგიკურია.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება განხორციელდა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, ამ მიზნისთვის დამტკიცებული ჯგუფის შემადგენლობით.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 5 აკადემიურ წელს (10 სემესტრს) და მოიცავს 308 კრედიტს. 1 კრედიტი შეადგენს 25 ასტრონომიულ საათს.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და

დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: ლექციებს, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობებს, სააუდიტორო აქტივობებისა და დამოკუდებელ მშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩაბარებას. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების განაწილება: ○ ზოგადი/თავისუფალი კომპონენტი - 77 კრედიტი, მათ შორის: თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 7 კრედიტი, საბაზისო განათლება — 30 კრედიტი. ○ პრეკლინიკური მეცნიერებები - 45 კრედიტი; ○ კლინიკური მეცნიერებები 98 კრედიტი; ○ ცხოველების მომშენებლობა - 19 კრედიტი; ○ ცხოველური სურსათის ჰიგიენა და კონტროლი - 15 კრედიტი; ○ სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 14 კრედიტი, ○ სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკა - 20 კრედიტი; ○ სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს, კურიკულუმის სტრუქტურა გამართულია, თანმიმდევრული და ლოგიკური. პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ კურიკულუმის რუკა ○ ინტერვიუები ხარისხის სამსახურთან და აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების შინაარსი მთლიანად ფარავს დარგობრივი ჩარჩოს მახასიათებელში გათვალისწინებულ თემებს და შეესაბამება სასწავლო კურსისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობას. შედეგებში გამოყენებული დესკრიპტორები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სამაგისტრო დონეს. თუმცა, გარკვეული სასწავლო კურსების სილაბუსებში არის შინაარსობრივი გადაფარვები. მაგალითად, ცხოველთა ბიოლოგიის და მცენარეთა ბიოლოგიის

სილაბუსის მიხედვით სტუდენტი ორჯერ სწავლობს მიკროსკოპთან მუშაობას. დაუშვებელია სტუდენტი სწავლობდეს მიკროსკოპზე მუშაობის ტექნიკას რამდენიმეჯერ, რადგან მიკროსკოპით მუშაობა არ მოითხოვს განსაკუთრებით სპეციფიურ უნარებს, საგნის შესწავლისას სასურველია კონცენტრირება მასალის ათვისებაზე და არა ერთი მეთოდის რამდენიმეჯერ დასწავლაზე. ასევე, მცენარეთა ბიოლოგიაში შეისწავლება არა მხოლოდ მცენარეები, არამედ სოკოები, ბაქტერიები, არქეები და ცხოველური უჯრედები, რაც ცალკე სამეფოს წარმომადგენლებია და არ უნდა ისწავლებოდეს მცენარეთა ბიოლოგიის საგანში. მსგავსი ორგანიზმების შესწავლა არის სხვა, უფრო ზოგადი საგნის მასალა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გადაიხედოს და დაკორექტირდეს აღნიშნული სასწავლო კურსები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვეტერინარიის ინტეგრირებული მაგისტრის საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და ხარისხის სამსახურთან
რეკომენდაციები: დაკორექტირდეს სილაბუსები, აღმოიფხვრას გადაფარვები ცხოველთა ბიოლოგიის და მცენარეთა ბიოლოგიის საგანში, მცენარეთა ბიოლოგიის საგანში შემავალი თემები შეესაბამებოდეს საგნის შინაარსს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო უნარების განვითარება, მათი კვლევით პროექტებში და ფართო სპექტრის პროფესიულ საქმიანობაში ჩართვით. ამის მიღწევა შესაძლოა მოხდეს მხოლოდ დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობით, მრავალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მხარდაჭერით და სასწავლებელში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებით. ეს ურთიერთობები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს, ეს დაგეგმილია სასწავლო დაწესებულების მიერ, მხარდაჭერილია დამსაქმებლების მიერ და მისასალმებელია. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს აქვთ საშუალება პრაქტიკა გაიარონ დარგობრივ ობიექტებზე, რასაც ხელს უწყობს თანამშრომლობის მემორანდუმები, პროგრამაში ჩართული პერსონალის მაღალი ენთუზიაზმი, პირადი კავშირები და გამოცდილება, თუმცა რეალური სიტუაციის გათვალისწინებით, სასწავლო დაწესებულებაში არ არის მასშტაბური სამეცნიერო კვლევების ჩატარების საშუალება, ამის გამო რთული იქნება სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო აქტივობებში. საგანმანათლებლო პროცესში დიდი ადგილი უკავია პრაქტიკას სხვადასხვა პროფილის ობიექტებზე, რასაც ფრთხილი და მოქნილი მენეჯმენტი სჭირდება.

პროგრამის ბოლოს მოსამზადებელია სამაგისტრო კვლევითი ნაშრომი/პროექტი, რასაც შესაბამისი საკმაოდ დიდი სამეცნიერო თუ კლინიკური ბაზა ესაჭიროება. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სავეტერინარო მიკრობიოლოგიის საგანში სილაბუსის მიხედვით სტუდენტებს აქვთ წვდომა **განსაკუთრებით საშიშ მიკრობებთან,** როგორიცაა ბრუცელა, B. anthracis და ა.შ. ამავდროულად, ადგილზე არ არსებობს სათანადო ბიოუსაფრთხოების დონის ლაბორატორია. დაუშვებელია სტუდენტს შესაბამისი მომზადების გარეშე ჰქონდეს შეხება განსაკუთრებით საშიშ მიკრობებთან, თუნდაც სავაქცინე შტამებთან, განსაკუთრებით სხვა სტუდენტებთან ერთად ჯგუფური მუშაობისას, ეს აჩენს ბიოუსაფრთხოების და ბიოუშიშროების პრობლემას. მიკრობებთან მუშაობის უნარების ჩამოყალიბება შეიძლება არაპათოგენურ მიკრობებზე მუშაობითაც ჩამოყალიბდეს. მნიშვნელოვანია, პრაქტიკული მეცადინეობები შეესაბამებოდეს მეცადინეობების გამართვისთვის არსებულ მდგომარეობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *ვეტერინარიის ინტეგრირებული მაგისტრის საგანმანათლებლო პროგრამა* ○ *სილაბუსები* ○ *თვითშეფასების დოკუმენტი* ○ *ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და ხარისხის სამსახურთან*
რეკომენდაციები: პრაქტიკული მეცადინეობები გახდეს უფრო შესაბამისი ადგილზე არსებულ სიტუაციასთან, არ დაუშვათ სტუდენტების კონტაქტი განსაკუთრებით საშიშ პათოგენებთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. როგორც აღინიშნა, პროგრამის სასწავლო კურსები თანმიმდევრული და ლოგიკურია, ატარებს კომპლექსურ ხასიათს. სწავლება-სწავლის მეთოდები სტუდენტზე ორიენტირებულია, ხოლო მათი პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენის, მათი გამოყენებით სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს სწავლებისა და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კლინიკური პროფილის სასწავლო კურსებში გამოყენებულია ლაბორატორიული მეცადინეობები, თუმცა, დაწესებულებაში არ მოიპოვება საკმაო რაოდენობის სიმულატორები, აპარატურა, მულაჟები მაპროფილებელ კლინიკურ საგნებში მეცადინეობებისათვის. აღნიშნული გაურთულებს სტუდენტს გამომუშავდეს პაციენტთან მუშაობისა და შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების ჩატარების უნარ-ჩვევები. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სტანდარტთან, ასევე პროგრამის მიზნებსა და

სწავლის შედეგებთან შესაბამისობა აღწერილია დასკვნის 4.3 სტანდარტის კომპონენტის აღწერილობით ნაწილში. თუმცა, ვინაიდან მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს ლაბორატორიული ბაზა (აპარატურა, მასალები, პრეპარატები) ქიმიის, მიკრობიოლოგიის, ჰისტოლოგიის, ანატომიის, ვეტ-სან ექსპერტიზის ლაბ/პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად, ლაბორატორიები აღჭურვილი არ არის შესაბამისი ინსტრუმენტებით, მულაჟებით, სიმულატორებით, მანეკენებით კლინიკური საგნების (ქირურგია, მეანობა, ცხოველთა გამრავლების ბიოტექნოლოგია) სრულფასოვანი სწავლებისთვის, ჩნდება ორაზროვნება არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობას შორის. კერძოდ, რამდენად შესაძლებელი იქნება პროგრამის განხორციელების დროს, სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლება-სწავლის შედეგების სრულფასოვანი დანერგვა და სწავლის შედეგების მიღწევა ვიზიტის დროს არსებული ლაბორატორიული ბაზის გამოყენებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვეტერინარიის ინტეგრირებული მაგისტრის საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და ხარისხის სამსახურთან ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება
რეკომენდაციები: სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები გახდეს არსებულ მატერიალურ ბაზასთან შესაბამისი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა შეფასებას უნივერსიტეტი ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესთან“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3); 2007/05/01. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება გამჭვირვალედ, წინასწარ დადგენილი პროცედურების მიხედვით, შეფასების სისტემა სამართლიანია. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ექნებათ საშუალება გაეცნონ მიღებულ შედეგებს. სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია შუალედური და დასკვნითი შეფასებები, ასევე განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კომპონენტები ნათლად არის განმარტებული, რაც უზრუნველოფს სტუდენტთა ინფორმირებას. სტუდენტების თეორიული ცოდნის შეფასება ხდება სხვადასხვა სასწავლო კურსში გამოკითხვის, ტესტირების და შეფასების სხვა მეთოდების გამოყენებით. შუალედური და ფინალური შეფასებების უმეტესობა წერითია. პროგრამის მიზანია დაავადებაზე დიაგნოზის დასმის, დაავადების მართვის, მკურნალობის, პრევენციის, ცხოველური პროდუქტის ექსპერტიზის და სხვ. უნარ-ჩვევების გამომუშავება. ამ მიზნების მისაღწევად, შედეგებზე გასასვლელად ბუნებრივია სტუდენტის შუალედური ცოდნის საჭიროება, მათ შორის ცხოველების ბიოლოგიური თავისებურებების შესახებ. შუალედური ცოდნა აუცილებელია

საბოლოო ცოდნის ფორმირებისთვის. თუმცა პროფესიონალ ვეტერინარად ჩამოყალიბებისთვის საჭიროა პროფესიული კომპეტენციების გამომუშავება, რომელთა მიღწევაც აუცილებლად უნდა შეფასდეს. პროგრამაში გარკვეული სასწავლო კურსები და მათი შესწავლით მიღებული ცოდნა (მაგ., ცხოველთა ბიოლოგიური თავისებურებების შემსწავლელი საგნები, პრეკლინიკური საგნები და სხვ.) ერთგვარ ხიდს წარმოადგენს პროგრამის აუცილებელი მიზნების მისაღწევად და პროფესიული კომპეტენციების გამოსამუშავებლად. პროგრამის გარკვეული კომპონენტები, პრეკლინიკური და კლინიკური საგნები, ცოდნა და უნარები არის მაპროფილებელი, და უზრუნველყოფენ დაგეგმილი მიზნების მიღწევას და პროგრამის საბოლოო შედეგების გამომუშავებას. სტუდენტების ცოდნის დადგენა ხდება ყველა საგანში, თუმცა, პროგრამის მიზნებისა და სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის მიზნით, რეკომენდებულია, კლინიკურ საგნებში დაინერგოს პრაქტიკული გამოცდები. შეფასების შედეგები აისახება ვირტუალური, ელექტრონული სასწავლო გარემოს ინსტრუმენტის გამოყენებით, არსებობს ელექტრონული სისტემა(LMS პროგრამა), რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი შედეგებისა და ნებისმიერი უკუკავშირის ნახვა. სტუდენტების ნაშრომები შეინახება კომპიუტერის მყარ დისკზე. სსიპ - სოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შეფასების გასაჩივრების პროცედურა. შეფასების შედეგების შეჯერების პოლიტიკა და პროცედურები კურსისა და პროგრამის მენეჯმენტის ინფორმირებისათვის შემუშავებულია, პროცედურის გამოყენება დადასტურდა სხვა პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით. უნივერსიტეტში ასევე შემუშავებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასებს ანგარიში და საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია პრაქტიკული გამოცდების დანერგვა კლინიკურ საგნებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**
   პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, თანდართულ დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე მორგებული გარემოს შექმნას. სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას. სტუდენტებს კონსულტაციის მიღება შეუძლიათ სტუდენტური სერვისებისა და მხარდაჭერის სამსახურისაგან, კურსის კოორდინატორებისგან, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დეკანის ოფისისაგან. თუმცა სილაბუსებით არ არის გათვალისწინებული საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია, რისი გათვალისწინების შემთხვევაშიც უკეთ იქნება უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ. უსდ–ში დასაქმებული პერსონალი კვალიფიციური და მოტივირებულია. მზად არიან შეუფერხებლად ითანამშრომლონ სტუდენტებთან . ვინაიდან უნივერსიტეტს ჯერ კონტიგენტი არ ჰყავს პროგრამის შემუშავებაში სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მონაწილეობა არ მიუღიათ, ასევე არ ყოფილან ჩართული სხვა პროგრამის სტუდენტები , რაც ექსპერტთა აზრით დადებითი პრაქტიკა იქნებოდა.

სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს ელექტრონული სისტემა(LMS პროგრამა) სადაც ხორციელდება სტუდენტთა რეგისტრაცია სასწავლო კურსებზე, ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სილაბუსების განთავსება. სტუდენტს შეუძლია ნახოს სასწავლო ბარათი, მის მიერ არჩეული საგნები, მიღებული შეფასებები, სასწავლო და საგამოცდო ცხრილები. უნივერსიტეტიში ფუნქციონირებს სხვადასხვა შემეცნებითი, სპორტული და გასართობი პროექტები , რაშიც სტუდენტები აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას. უსდ ახორციელებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები სტუდენტებისთვის, რაც დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიურების პროცესში.

რადგანაც ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამას ამჟამად არ ჰყავს სტუდენტი ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ამავე უნივერსიტეტის ფარმაციის პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვა. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სტუდენტებისთვის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან კომუნიკაცია შეუფერხებლად ხორციელდება, წარმატებით გამოიყენება უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და ელექტრონული ფოსტა. ასევე სხვადასხვა სოციალური ქსელები. სტუდენტებმა აღნიშნეს , რომ სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდა Covid-19 პანდემიის დროს, აქტიურად იყენებდნენ ონლაინ მეცადინეობებისათვის Zoom და Google meet პლათფორმებს.

სასწავლო კურსების სილაბუსებში აღნიშნულია ინდივიდუალური კონსულტაციების შესაძლებლობა, თუმცა, არ არის მითითებული ზუსტი კონსულტაციის საათები. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, სასურველია დაზუსტეს საკონსულტაციო საათები, რათა უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურების შედეგები;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, http://www.zssu.ge/zssu2/node/1376
- სასწავლო კურსის სილაბუსები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამის სილაბუსებში ზუსტად იყოს გაწერილი საკონსულტაციო საათები, რათა უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ჰყავდეთ სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების მქონე კვალიფიციური ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეუძლია: პროგრამის განხორციელებაში მონაწილე დარგის წარმომადგენლებს, კონკურსის წესით არჩეულ, ვეტერინარიის 3 პროფესორს, 4 ასოცირებული პროფესორს, მოწვეული პერსონალიდან, 3 მოწვეული პროფესორს; 5 მოწვეულ სპეციალისტს, რომელთა კომპეტენციები დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერისტეტის

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო – კვლევით კომპონენტს მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომს 20 კრედიტის ფარგლებში. სამეცნიერო ნაშრომის შესრულება გათვალისწინებულია მე–10 სემესტრში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა • ინტერვიურების შედეგები; • სასწავლო კურსის სილაბუსები • მაგისტრატურის დებულება
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაში**	**მეტწილად**	**ნაწილობრივ**	**არ არის**

	ა მოთხოვნებთან	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალ ური მუშაობა	✓			

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 43 პერსონალი, მათგან 21 არის აკადემიური პერსონალი (5 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი) და 22 მოწვეული პერსონალი. აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობიდან ვეტერინარიის საბაზო განათლების მქონე, კონკურსის წესით არჩეული, 3 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ

პროფესორი, 1 ასისტენტი, ხოლო მოწვეული პერსონალიდან, 3 მოწვეული პროფესორი, 5 მოწვეული სპეციალისტი. მეცხოველეობის მიმართულებით, 1 ასოცირებული პროფესორი და 3 მოწვეული სპეციალისტი. 21 აკადემიური პერსონალიდან აფილირებული პროფესორების რაოდენობა შეადგენს 18-ს, მათგან 2 პროფესორია, 12 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ-პროფესორი და 1 ასისტენტი. მათი კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამის დარგში დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით, პროფესიული გამოცდილებით, პუბლიკაციებით, აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელსა და თანახელმძღვანელს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პროგრამაზე მისაღები სტუდენტების (30 სტუდენტი) რაოდენობასთან და მათ შორის ბალანსი უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის განხორციელებას და მდგრადობას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მათ პირად საქმეებთან გაცნობის და მათთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ როგორც პერსონალის, ისე პროგრამის ხელმძღვანელების ყოველკვირეული დატვირთვა ნაკლებად რეალისტურია მათზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად (ყოველკვირეული საათობრივი დატვირთვა სხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულებებშიც). ამას ემატება ზუგდიდში მათი მგზავრობის საკითხიც, რადგან პროგრამის ხელმძღვანელებიც და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის უმეტესობა არ არის ადგილობრივი კადრი. ექსპერტთა ჯგუფის აზრით ასეთი დატვირთვის პირობებში შეუძლებელი იქნება პერსონალის და ხელმძღვანელების მიერ პროგრამის შეუფერხებლად განხორციელება. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი ვეტერინარული განათლების სისტემაში არსებობს დეფიციტი ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის მომზადების მხრივ. გამომდინარე აქედან, პროგრამა განიცდის ახალგაზრდა პედაგოგების დეფიციტს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს ახალგაზრდა პედაგოგების აღზრდაზე და მოზიდვაზე. ასევე, მნიშვნელოვანია მეტი პრაქტიკოსი ვეტერინარი ექიმის და მეცნიერის ჩართულობა სასწავლო პროცესში, რაც უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სრულყოფილად შესრულებას. ახალგაზრდა აკადემიური კადრის, პრაქტიკოსი ვეტერინარების და მეცნიერების მოზიდვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ვეტერინარული პროგრამის მდგრადობას. პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ფორმა;

- პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები;
- პროგრამის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის პირადი ფაილები;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი - http://www.zssu.ge/zssu2/

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტმა ინდივიდუალური დატვირთვის გაანგარიშებისას აუცილებელია გაითვალისწინოს პერსონალის დატვირთვა სხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო (საგანმანათლებლო და არასაგანმანათლებლო) დაწესებულებებში, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის განხორციელება და მდგრადობა, რაც მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორია პროგრამის სრულყოფილი განხორციელებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს ახალგაზრდა პედაგოგების აღზრდაზე და მოზიდვაზე;

სასწავლო პროცესში ჩაერთოს უფრო მეტი პრაქტიკოსი ვეტექიმი და მეცნიერი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს, რისთვისაც უნივერსიტეტში შემუშავებულია კვლევების სტრატეგიული გეგმა, რომლის ერთ-ერთი მიზანი სრულად ასახავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებულ ამოცანებსა და აქტივობებს. იგულისხმება აკადემიური და მოწვეული პერსონალის როგორც გადამზადების კურსები, ტრენინგები, ისე მხარდამჭერი გადაწყვეტილებები/რეგულაციები, მოტივაციის/წახალისების მექანიზმები და სხვ. (აქ იგულისხმება ასევე უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტების/აკადემიური პერსონალის გამოკითხვების/კვლევების შედეგების ანალიზით საჭიროებების გამოვლენა) რაც ხელს უწყობს პერსონალის მართვას, განვითარებას და მათზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტურ განხორციელებას.

აკადემიური პერსონალის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა ინგლისურენოვანი ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს საბიბლიოთეკო საერთაშორისო ბაზებზე რეგისტრაციაში, უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციისთვის აუცილებელი ციტირების ინდექსების შესახებ, რათა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სტატიები, შრომები დაიბეჭდოს საერთაშორისო,

მაღალრეიტინგულ გამოცემებში, როგორიცაა Elsevier, Scopus, Mendeley, Web Science და სხვ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს კვლევით აქტივობას, ამ მიზნით ის თანამშრომლობს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან და წელიწადში ერთხელ გამოითხოვს სასწავლო უნივერსიტეტში აფილირებული აკადემიური პერსონალის ციტირების ინდექსებს Scopus-ის, Web Science-*ს*ა და Google Scholar -ის ელექტრონულ სისტემებში.

საერთაშორისო პროგრამის STAR-ის ფარგლებში მომზადდა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის სახელმძღვანელო.

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით 2018 წლის 20 აპრილის #01-01/13 ბრძანების თანახმად ყოველწლიურად უცხო ენათა შემსწავლელ ცენტრთან თანამშრომლობით ხორციელდება 5 პერსონალის და 2 სტუდენტის ეტაპობრივი გადამზადება ინგლისურ ენაში უსასყიდლოდ.

უნივერსიტეტი ჩართულია „Erasmus+"-ის (Capacity Building - შესაძლებლობების გაძლიერების) საერთაშორისო პროექტში „უნივერსიტეტების როლი რეგიონების განვითარებაში" RURD. პროექტის მიზანია ევროკავშირის პარტნიორებთან თანამშრომლობით საქართველოს რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის გაზრდა რეგიონების განვითარებაში, ასევე უნივერსიტეტებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება. უნივერსიტეტი ასევე მონაწილეობს საგრანტო პროექტში (Erasmus+ - INTEGRITY – ACADEMIC INTEGRITY FOR QUALITY TEACHING AND LEARNING IN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS IN GEORGIA (სწავლისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად აკადემიური ინტეგრაცია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში), რომლის ფარგლებშიც შეძენილი იქნა ელექტრონული პროგრამა TURNITIN. ასევე, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს - ევროპის უნივერსიტეტებთან ერთად ჩართულია Erasmus+ პროექტის Addressing the shortage of veterinary professionals in Georgia to support the Government in Reform in Accordance with the EU-Georgia Association Agreement განაცხადის მომზადებაში. მიღებული გამოცდილებით და საჭიროებების გათვალისწინებით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით მიზანშეწონილად ჩაითვალა ცალკე დოკუმენტად შემუშავებულიყო ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის სტრატეგია, კვლევების ხელშეწყობის სტრატეგია და უწყვეტი განათლების ხელშეწყობის სტრატეგია. თუმცა, უნდა

აღინიშნოს, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის ზემოთ ჩამოთვლილი აქტიური თანამშრომლობისა სხვადასხვა საერთაშორისო დაწესებულებებთან და სასწავლებლებთან ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აღნიშნული ტიპის თანამშრომლობა სუსტადაა წარმოდგენილი. ინტერვიუების შედეგად, ასევე იკვეთება აკადემიური პერსონალის ტრენინგების განხორციელების საჭიროება სწავლა-სწავლების, შეფასების თანამედროვე მეთოდებსა და გარე მარეგულირებელი ჩარჩოს ზოგად მოთხოვნებთან მიმართებით. აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული პროფესიული განვითარების აქტივობები ნაკლებია, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისთვის ამგვარი სახის ტრენინგები არ ჩატარებულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ფორმა; ○ პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის, ხარისხის სამსახურის და ადმინისტრაციის პერსონალის ინტერვიუს შედეგები; ○ პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები; ○ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; ○ პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები; ○ ინტერნაციონალიზაცია; ○ ხარისხის სამსახურის კვლევები; ○ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი - http://www.zssu.ge/zssu2/
რეკომენდაციები: რადგან პროგრამა ახალია, სამომავლოდ რეკომენდებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის პროფესიული განვითარების აქტივობების, ტრენინგების შეთავაზება, რაც მიმართული იქნება სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გაცნობაზე, რაც დადებითად აისახება სწავლა-სწავლების და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ვეტერინარული პროგრამების განმახორციელებელ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სასწავლებლებთან

თანამშრომლობის ხელშეწყობა, რადგან ვეტერინარულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა სუსტადაა წარმოდგენილი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი ფუნქციონირებს ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. #14-ში. უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვედ აღჭურვილი სსსმ/შშმ პირებისათვის ადაპტირებული სასწავლო კორპუსი, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით, მოსასვენებელი და საკონფერენციო სივრცეები, კაფეტერია, საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის და სხვა. უნივერსიტეტს გააჩნია განახლებადი წიგნადი ფონდით აღჭურვილი ბიბლიოთეკა,

რომელიც როგორც სტუდენტებს, ისე აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით. ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში (Elsevier, Scopus) რისი *დემონსტრირებაც* ადგილზე მოხდა და შესაძლებელია ლიტერატურაზე დისტანციური წვდომა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა სენაკის ტერიტორიაც სადაც უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ადგილზე დათვალიერდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი მეცხოველეობის (მსხვილი რქოსანი პირუტყვის) ფერმა თავისი სასწავლო ოთახებით (ყველის დასამზადებელი ოთახი) და სველი წერტილებით (საშხაპეებით), სასათბურე მეურნეობები, მეფუტკრის ლაბორატორია (შენდება მეფუტკრის სასწავლო სახელოსნო). როგორც ვიზიტის დროს აღნიშნეს გინეკოლოგიის საგნის სწავლება განხორციელდება სენაკის ბაზაზე არსებულ სასწავლო აუდიტორიაში და მეცხოველეობის ფერმაში. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი სტანდარტების *ვივარიუმის* მოწყობა, რომლის მშენებლობაც იგეგმება პროგრამის აკრედიტაციის გავლის შემდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი გეგმავს უზრუნველყოს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ტრანსპორტირება სენაკის ბაზაზე არსებულ ფერმაში და იმ ორგანიზაციებში სადაც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო-პრაქტიკული სწავლების პროცესების ჩატარება.

ზუგდიდში საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე ხორციელდება ფარმაციის პროგრამა სადაც არსებობს ქიმიის ლაბორატორიები, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებენ ასევე ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებიც. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ვეტერინარიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის ცალკეა მოწყობილი ქიმიის ლაბორატორია შესაბამისი ქიმიური ამწოვი კარადით და სურსათის

ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული სხვადასხვა პრეპარატებით, მაგრამ ლაბორატორიის სრული აღჭურვისთვის აკლია კიდევ ბევრი ჭურჭელი თუ რეაგენტი. ამ ოთახშივეა დამონტაჟებული გასაკვეთი მაგიდა, რომელიც დამზადებულია სტანდარტების გაუთვალისწინებლად და მცირე ზომის სხვადასხვა ცხოველის მაკეტები „მულაჟებად“ წოდებული და პატარა ზომის 6 მიკროსკოპი, არსებული მიკროსკოპებიდან მხოლოდ ერთს აქვს *იმერსიული* სისტემა, რაც შეუძლებელს ხდის სტუდენტებისთვის პრეპარატების დათვალიერების და მიკრობების იდენტიფიკაციის უნარის გამომუშავებას. ასევე, პორტატიული რენტგენის დანადგარი. ანატომიის კაბინეტი მწირედ არის აღჭურვილი სხვადასხვა სახეობის ცხოველების ცალკეული ძვლებით, ატლასებით, სურათებით (ადგილზე კიდევ მოსატანია ცხოველთა სხვა სახეობის ძვლები და ზოგიერთი სველი პრეპარატი). სამწუხაროდ, ამ ეტაპზე პროგრამას არ აქვს ცხოველების ჩონჩხი, შინაგანი ორგანოების სველი პრეპარატები, მულაჟები, სიმულატორები. პროგრამას არ გააჩნია ჰისტოლოგიური და პათანატომიური პრეპარატები და შესაბამისი სასწავლო აუდიტორიები. ერთ აუდიტორიაშია მოთავსებული გაკვეთის, მიკრობიოლოგიის სასწავლო კურსები ყოველგვარი შესაბამისი აღჭურვის გარეშე. არ არის ქირურგიის ოთახი, რომ სასწავლო პროცესის განხორციელების დროს ადგილზე მოხდეს საბაზისო იარაღების და უნარ-ჩვევების გაცნობა და შესწავლა ვიდრე კლინიკებში გავლენ სტუდენტები. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ადგილზე თითქმის არ არსებობს ლაბორატორიული ბაზა *ლაბ*/პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად.

პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტი გეგმავს ცხოველთა დაავადებების ზუსტი დიაგნოსტირებისთვის რენტგენის კასეტური აპარატის შეძენას, რისთვისაც მიმდინარეობს აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მიერ დაფინანსებული LAND O’LAKES INTERNATIONAL DEVELOPMENT GEORGIA (VENTURE 37) “ინვესტირება უვნებელ ხარისხიან მესაქონლეობაში SQIL პროექტის ფარგლებში ხელშეკრულების გაფორმება თანადაფინანსებაზე, რაც გულისხმობს ვეტერინარული ლაბორატორიის აღჭურვას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის თანადაფინანსებით ლაბორატორიის

სრულყოფა, პროგრამაში ჩართული პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირება და შემდგომი გადამზადება. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკის და ასევე სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული პრაქტიკულ-ლაბორატორიული უნარ-ჩვევების ათვისება განხორციელდება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებებით და მემორანდუმებით განსაზღვრული ობიექტების ფართო ჩამონათვალზე (*ვეტ.* კლინიკები, ფერმები, ლაბორატორიები, სასაკლაოები, *ვეტ.* აფთიაქები, თევზის *სალიფსიტე* მეურნეობა, საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება და სხვ.). „*აგრო* სახლი“ ასოციაცია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის (AFAD) აფილირებული ხელშეკრულების ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტს სთავაზობს თანამედროვე აპარატურით აღჭურვილ ლაბორატორიებს, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს მაღალი ხარისხის კვლევები მიკრობიოლოგიის, ქიმიის, კლინიკური დიაგნოსტიკის, სისხლის და შარდის კვლევები და სხვ. მიმართულებით, მაგრამ ადგილზე დათვალიერებისას სახეზეა, რომ ლაბორატორიების და კლინიკის სივრცე 2 სტუდენტზე მეტს ვერ დაიტევს ერთ მიღებაზე, რაც გაართულებს სასწავლო პროცესს, სტუდენტთა დაგეგმილი კონტინგენტის გათვალისწინებით. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამის ბოლოს მოსამზადებელია სამაგისტრო კვლევითი ნაშრომი/პროექტი, რასაც შესაბამისი საკმაოდ დიდი სამეცნიერო თუ კლინიკური ბაზა ესაჭიროება. ზოგადად, უნივერსიტეტის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კვლევითი პოტენციალის განვითარება-გაღრმავება. აქედან გამომდინარე, პროგრამა აუცილებლად საჭიროებს ლაბორატორიების და კლინიკური საგნების სპეციალური ოთახების მოწყობას და აღჭურვას ადგილზე, რასაც უნივერსიტეტი აცნობიერებს, მაგრამ ამ ეტაპზე ვიდრე პროგრამა აკრედიტაციას არ გაივლის მათ არ შეუძლიათ გამოაცხადონ ტენდერები და განახორციელონ სახელმწიფო შესყიდვები ლაბორატორიების მოსაწყობად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გაცნობა ადგილზე; ○ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის ადგილზე დემონსტრირება; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები; ○ ინტერვიუების შედეგები პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან; ○ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი - http://www.zssu.ge/zssu2/

რეკომენდაციები:

- პროგრამა აუცილებლად საჭიროებს ლაბორატორიების და კლინიკური საგნების სპეციალური ოთახების მოწყობას და აღჭურვას ადგილზე შესაბამისი აპარატურით, ინსტრუმენტებით, პრეპარატებით და სხვადასხვა საჭირო მასალით (მიკრობიოლოგიის, ჰისტოლოგიის, პათანატომიის, ქირურგიული სამანიპულატორო ოთახი, მულაჟები, სიმულატორები, ანატომიის ატლასები, შინაური და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ჩონჩხები, ცხოველების შინაგანი ორგანოების სველი პრეპარატები, სტანდარტული პათანატომიური და ჰისტოლოგიური მიკროსკოპული პრეპარატები, ქირურგიული და გინეკოლოგიური ინსტრუმენტები, ხელოვნური კანის მულიაჟები, იარაღების სასტერილიზაციო და სხვ.).

- მოხდეს ყველა საჭირო აპარატურის შესყიდვა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მოწყობამდე არ გამოცხადდეს სტუდენტების მიღება;

- სამეცნიერო კვლევების განხორციელების მიზნით საჭიროა ვივარიუმის მოწყობა შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ითარგმნოს მეტი ლიტერატურა ქართულ ენაზე ვეტერინარიის სხვადასხვა საგანში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ბიუჯეტი არის სხვადასხვა შემოსულობების (სახელმწიფო დაფინანსება, საკუთარი ბიუჯეტი, პარტნიორი ორგანიზაციებიდან (ადგილობრივი და საერთაშორისო) მიღებული გრანტები)) დაფინანსების წყაროების ნაერთი - „ნაერთი ბიუჯეტი“ რომელშიც გაწერილია პროგრამის მხარდაჭერა და უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროებებს და ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია. თუმცა, როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა უნივერსიტეტი მეტწილად დამოკიდებულია სახელმწიფო და პარტნიორი ორგანიზაციებიდან მიღებულ დაფინანსებებზე. მაგალითისთვის, ერთ-ერთი პარტნიორი ორგანიზაციის მიერ რენტგენის კასეტური აპარატის შესაძენად ამ ეტაპზე მიმდინარეობს განაცხადის საბოლოო განხილვა თანადაფინანსებაზე (54650 ლარი), რა შემთხვევაშიც უნივერსიტეტი გადაიხდის (25%) 18300 ლარს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სხვა ინვენტარის შესასყიდად. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული სამწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ბიუჯეტი, სადაც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო ფინანსები, მათ შორის „ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ მომზადებისა და განხორციელების ფინანსური რესურსები. ზუგდიდის მერის მოადგილესთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად აშკარაა დიდი ინტერესი და მხარდაჭერა აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის (ინტერვიუს შედეგად ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ პროგრამას აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში ზუგდიდის მერია 30 000 ლარით

დააფინანსებს, რაც მომავალ წელს გაიზრდება და 50 000 ლარს შეადგენს), რაც გამოწვეულია რეგიონში კვალიფიციურ ვეტერინარებზე მაღალი მოთხოვნით, რასაც ემატება ისიც, რომ რეგიონში არსებული ვეტერინარები 50 წელს გადაცილებული არიან და მალე საპენსიო ასაკს მიაღწევენ, რაც შექმნის ვეტერინარების დეფიციტს. ასევე, აღსანიშნავია, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი არის სამეგრელო-ზემო სვანეთში ერთადერთი სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც განთავსებულია აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის *დეფაქტოსაზღვართან*, 7 კილომეტრის დაშორებით და უნივერსიტეტის კონტინგენტის ძირითადი ნაწილი აფხაზეთიდან დევნილი ან საზღვრისპირა სოფლების მცხოვრები სტუდენტები არიან, რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს კონტინგენტის 45%-ს და რეგიონის საჭიროებებზე მორგებული სოფლის მეურნეობის დარგები დღემდე პრიორიტეტულია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე და საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის გაცნობის შედეგად ნათლად ჩანს, რომ უნივერსიტეტი წარმოადგენს ფინანსურად სტაბილურ ორგანიზაციას, *რომელსაც შეუძლია* თავისი ვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად *შესრულება*. თუმცა, სტაბილური ფინანსური მდგრადობის მისაღწევად კარგი იქნება უნივერსიტეტის მიერ საგრანტო პროექტების ხელშეწყობა და გაძლიერება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ზუგდიდის მერის მოადგილესთან, დამსაქმებლებთან;
რეკომენდაციები: უნივერსიტეტის მიერ სამომავლოდ გაიზარდოს სხვადასხვა საგრანტო პროგრამებში მონაწილეობა, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სტაბილური ფინანსური მდგრადობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			✓	

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ეფუძნება PDCA ციკლს. სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის ფუნქცია წარმოდგენილია ცენტრალურ და საფაკულტეტო დონეზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაზღვრული პერიოდულობით ახორციელებს შიდა ხარისხის შეფასების პროცედურებს, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე ინტერვიუების შედეგებით. ვინაიდან აკრედიტაციის მიზნებისთვის წარმოდგენილი ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, შიდა ხარისხის შეფასების სტანდარტის კომპონენტის შეფასება განხორციელდა უნივერსიტეტში დანერგილ პრაქტიკაზე, მოქმედ რეგულაციებზე, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესზე, აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაზე/მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით, შეიქმნა და **საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 14 აპრილის N16 დადგენილებით** დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, პრაქტიკოსი ვეტერინარები, დამსაქმებლები. მისასალმებელია ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში დამსაქმებელთა და პრაქტიკოს ვეტერინართა ჩართლობა, თუმცა, სამუშაო ჯგუფში არ შედიოდნენ სტუდენტ(ებ)ი და კურსდამთავრებულ(ებ)ი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია პროგრამის სიახლით. მართალია, საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და მას არ ჰყავს სტუდენტ(ებ)ი თუ კურსდამთავრებულ(ებ)ი, თუმცა ფაკულტეტის სხვა საგანმნათლებლო პროგრამის სტუდენტისა თუ კურსდამთავრებულის ჩართულობა პროგრამაზე მომუშავე ჯგუფსა თუ თვითშეფასების ჯგუფში სასარგებლო იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის, ასევე სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის კულტურისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართულობის გაძლიერებისთვის. ფაკულტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენ(ებ)ისა თუ კურსდამთავრებულ(ებ)ის მოსაზრებები და უკუკავშირი სწავლების მეთოდებსა და მიდგომებთან, სტუდენტის

შეფასებასთან, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებასა თუ სხვა საკითხებთან მიმართებით და ხელს შეუწყობდა პროგრამის ხარისხის განვითარებას. პროგრამის შემუშავების ჯგუფის დამტკიცებულ შემადგენლობაში, ასევე არ იყო წარმოდგენილი ადმინისტრაციული პერსონალი, თუმცა, ადმინისტრაციული პერსონალი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ჩართული იყო პროგრამის შემუშავებასა და აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების, შემუშავების, შეფასების, განვითარების წესსა და პროცედურებს, საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ დადგენილ მოთხოვნებს და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მონაწილე სუბიექტებს განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებული სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ **2021 წლის პირველ ნოემბერს, ოქმი #60**). აღნიშნული წესის მიხედვით, განსხვავებით ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის შემუშავებისას გამოყენებული პრაქტიკისგან, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში აკადემიურ/მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად, მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და პოტენციური დამსაქმებლები. დოკუმენტი აღწერს სტუდენტის შერჩევის მეთოდოლოგიას/სტრატეგიას და სტუდენტის ჩართულობით დაფარულ საკითხებს.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების ეტაპზე გამოიკვეთა ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის ხარისხის ნაკლებობის საკითხი. ინტერვიუების შედეგად სახეზეა, რომ პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობა ნაკლები იყო და ზოგიერთ შემთხვევაში, პროგრამის შემუშავებაში პერსონალის შემოიფარგლებოდა კონკრეტული სილაბუსის შემუშავებით და გაცნობით. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ნაკლებად იცნობს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას - პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსსა და სასწავლო თემატიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 14 აპრილის N16 დადგენილება;
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის

განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები.
რეკომენდაციები: მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობა - ერთის მხრივ, ჩართული დაინტერესებული მხარეების გაფართოება, მეორეს მხრივ, კი ჩართული პირების პროცესში სრულფასოვანი და აქტიური მონაწილეობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. გარე ხარისხის შეფასება ხორციელდება როგორც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში, ასევე კოლეგიური გარე შეფასების გზით.

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაფასებლად წარედგინა სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირებულ პროფესორს. თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილია გარე შეფასების დასკვნა. დასკვნის შედეგად არ გაცემულა რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამაში თუ მის ცალკეულ სასწავლო კურსში ცვლილებების განხორციელების შესახებ, შესაბამისად, არ არის შესაძლებელი მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად ასრულებს დაწესებულება კოლეგიური შეფასების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებს. ზოგადი შენიშვნის სახით, რომელიც სამომავლოდ მოემსახურება გარე ხარისხის კოლეგიური შეფასების ხარისხის გაზრდას, შეიძლება აღინიშნოს, რომ დასკვნა ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა და ნაკლებად იძლევა გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთის საშუალებას, რაც გარე კოლეგიური შეფასების ძირითადი მიზანია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის გარე (კოლეგიური) შეფასების შედეგი;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა.
-

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, განხორციელებული გარე კოლეგიური შეფასებები (ადგილობრივი თუ საერთაშორისო კოლეგის მიერ განხორციელებული) ფოკუსირებული იყოს მეტად საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაზე, პროგრამის შეფასებაზე, ვიდრე პროგრამის მახასიათებლების აღწერაზე. აღნიშნულის უზრუნველყოფა გარე კოლეგიური შეფასების დროს შემფასებელთან პროცესთან დაკავშირებული მოლოდინების, შეფასების მიზნის მკაფიო კომუნიკაციით იქნება შესაძლებელი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმების შესაბამისად (**მუხლი 10** - პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, **მუხლი** 11 - ხარისხის კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის მიზანი და ამოცანები, რეაგირების მექანიზმები). დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესი, ჩართული მხარეები, გამოყენებული მექანიზმები და ინსტრუმენტები, ასევე გაწერილია ხარისხის შიდა შეფასებისთვის გამოყენებული გამოკითხვების პერიოდები და თითოეული აქტივობა დაკავშირებულია კონკრეტულ სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებთან.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ახორციელებენ სასწავლო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და პროგრამის ხელმძღვანელები, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით.

ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ მტკიცებულებებს თან ერთვის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული შიდა ხარისხის კვლევის შედეგები - დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები. კერძოდ, სტუდენტთა, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გამოკითხვების შედეგები და შესაბამისი ანალიზი.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პერიოდული განხორციელება ასევე დასტურდება ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგებით.

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განხორციელებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევა რამდენიმე მიმართულებით - ბაზარზე არსებული მოთხოვნის ანალიზის მიზნით, გამოყენებულია როგორც მეორეული მონაცემები, ასევე ჩატარებულია დამსაქმებელთა გამოკითხვა.

როგორც აღინიშნა, საგანმანათლებლო პროგრამა ასევე შესაფასებლად წარედგინა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის გამოყენებული იქნა გარე კოლეგიური შეფასება. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას პროგრამა დადარდა ადგილობრივ და საერთაშორისო ანალოგებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების ეტაპზე გამოყენებული იქნა ხარისხის უზრუნველყოფის არაერთი მექანიზმი.

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტის მიხედვით (**მუხლი 11, პუნქტი 8**), განხორციელებული კვლევები ითვალისწინებს კვლევის შედეგების ვებ-გვერდზე, ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში განთავსებას. აღნიშნული პრაქტიკა მისასალმებელია, რადგან უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შედეგების გამჭვირვალობას, ხელმისაწვდომობას, ასევე ზრდის დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობის დონესა და ხარისხის უზრუნელყოფის სამსახურის ანგარიშვალდებულებას. თუმცა, ვებ-გვერდი განახლებას საჭიროებს - არ არის განთავსებული უახლესი კვლევები და მასალები (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უახლესი ანგარიში თარიღდება 2017-2018 წლით, ისევე როგორც გამოკითხვის შედეგები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმა თარიღდება 2020 წლით, ხარისხის უზრუნველყოფის მასალებში ვერ მოიძებნა განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები).

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მექანიზმების მიხედვით, ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახური აფასებს პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობს, ის ასევე აფასებს აკადემიური პერსონალის საქმიანობას, როგორც კვლევის, ასევე სწავლა-სწავლების მიმართულებით. ინტერვიურების შედეგების, თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლი გაძლიერდეს პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობებში, კერძოდ სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების, ასევე გარე მარეგულირებელი ჩარჩოს მოთხოვნებთან მიმართებით, რაც აღწერილია სტანდარტის კომპონენტ 4.2-ის შეფასებისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიურების შედეგები; • სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; • სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფანჯარა: http://www.zssu.ge/zssu2/node/7 ; • ხარისხის შიდა შეფასების შედეგები; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევის შედეგები; • გარე კოლეგიური შეფასების შედეგები (დასკვნა).
რეკომენდაციები: სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის მიზნით, რეკომენდებულია განახლდეს სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფანჯარაში განთავსებული ინფორმაცია, მასალები და კვლევები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 55

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			✓	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გიორგი მელაშვილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თინათინ გაბრიჩიძე

მარინე რამიშვილი

გიორგი მღვდელაძე